პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1975
პარასკევი
5
სექტემბერი
№ 208 (16334)
ფასი 2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

## შეჯიბრების მოწინავენი








ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება საქართველოს მოწინავე საწარმოა. მისმა კოლექტივმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამას წინათ აქ გამოუშვეს ნატურალური აბრეშუმის მეხუთმილიონე მეტრი ქსოვილი. გაერთიანების პროდუქცია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხეში იგზავნება. ორი ახალი სახეობის აბრეშუმის ქსოვილს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. მარტო ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შვიდ თვეში აქ 583 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

პროდუქციის გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შვიდი პროცენტით გაიზარდა. ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ გაერთიანება აღიჭურვა უახლესი მოწყობილობით. მაგალითად, № 3 საქსოვ საამქროში დაიდგა 150 ახალი პნევმატური საქსოვი დაზგა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ფართოდ გამოეხმაურა გაერთიანების კოლექტივი. ყოველი მუშაკი ცდილობს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს ყრილობის გახსნას.

სურათებზე ზემოთ: მარცხნივ — № 3 საამქროს მოწინავე მქსოველები (მარცხნიდან) დოდო უმფრიანი, ლიანა ცაავა და გულნაზი თაბაგარი, რომლებმაც უკვე შეასრულეს პირადი ხუთწლიანი დავალების შესრულება; მარჯვნივ — მოწინავე მუშაკი მალვინა სოხაძე; ქვემოთ — ახლადდადგმული პნევმატური საქსოვი დაზგები.

ვ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# უხვი მოსავლის საფუძველი

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დაძაბული, დამკვრელური შრომის ტემპი უფრო მატულობს, რათა წარმატებით შესრულდეს სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი. ახლა გამოულევი, მეტად პასუხსაგები სამუშაოებია სოფლად. დროულად უნდა ავიღოთ მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის, ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ეთერზეთების და სხვა კულტურების მოსავალი, გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება, ხანიმუშოდ მოვამზადოთ ფერმები პირუტყვის გამოზამთრებისათვის. შემდეგ კი უნდა შეჯამდეს მთელი წლის განმავლობაში გაწეული ჯაფის შედეგები და სწორედ აქ გამოჩნდება [illegible]

კონდიციამდე აყვანაში ჩამორჩებიან ხაშურის, ადიგენის, თეთრი წყაროს, ახმეტის, ყვარლის და სხვა რაიონები. ბევრგან შემოწმებული თესლიდან ათასობით ცენტნერი უკონდიციოა. ამასთან კონდიციურ თესლში დიდია მეორე კლასის თესლის წილი. ეს მაშინ, როცა კურსი უნდა ავიღოთ ძირითადად პირველი კლასის სათესლე მასალის მომზადებაზე. არსებული მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება ხვნის დაჩქარებისა და თესლის მომზადებისათვის. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კონდიციური თესლი ის არის, რომელშიც ძირითადი კულტურის თესლი — 97-99 პროცენტია, პირველი კლასის თესლს ეკუთვნის თესლი, რომელშიც დასათესი კულტურის თესლი 99 პროცენტია, [illegible]

[illegible]

თესლი.

მაგრამ რედაქციაში მოდის სიგნალები იმის შესახებაც რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ჩქარობენ თესლის მომარაგებასა და სრულ კონდიციამდე აყვანას. ძირითადად პირველი კლასის თესლის მომზადებას. მაგალითად, თესლის [illegible]

ყველაფერი ვიღონოთ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის. მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს!

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებების კრებული

გამომცემლობა „ყაზახსტანმა" ყაზახურ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებების ორტომეული „თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხთა შესახებ".

კრებული მოიცავს პერიოდს 1964 წლის ნოემბრიდან 1975 წლის ივნისამდე. (საკდესი).

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

# ხუთწლედი — ვადამდე!

ყურძნის კრეფის დღიური

## რთველია, რთველი

4 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 50.195 ტონა ყურძენი

**გურჯაანის** რაიონში 3 სექტემბერს მოიკრიფა 4.397 ტონა ყურძენი. მთლიანად კი მოკრეფილია 27.169 ტონა.

**ყვარლის** რაიონში ერთ დღეს მოიკრიფა 1.300 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 7.537 ტონა. **სიღნაღის** რაიონში 3 სექტემბერს მოკრიფეს 2.031 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 7.363 ტონა.

**თელავის** რაიონში 3 სექტემბერს მოიკრიფა 1.794 ტონა ყურძენი, სულ მოკრეფილია 3.452 ტონა. **წითელწყაროელმა** მევენახეებმა სულ მოკრიფეს 2.680 ტონა ყურძენი, **მარნეულელებმა** — 926 ტონა, **ლაგოდეხელებმა** — 401 ტონა, **საგარეჯოელებმა** — 235 ტონა, **მაიაკოვსკელებმა** — 165 ტონა, **მცხეთელებმა** — 107 ტონა, **ზესტაფონელებმა** — 92 ტონა, **თერჯოლელებმა** — 66 ტონა.

**კახეთის რაიონებში სულ მოკრეფილია 48.837 ტონა ყურძენი, მთლიანად რესპუბლიკაში კი — 50.195 ტონა.**

# 24.500 ტონა!

საუბარი პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივანთან ვ. ქარუმიძესთან

**უჩვეულო** ზაფხულს რთველიც უჩვეულო მოჰყვა. ყურძენი ადრე დამწიფდა. რთველი გაჩაღებულია, — განაცხადა „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ.

ვენახს კარგად მოიწადინა და იშრომა, გვალვაც წელში გატყდა. ბევრ კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერ ყურძენს კრეფენ, ზოგან კი 100-120 ცენტნერსაც.

რთველის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ახლახან პარტიის რაიკომმა გამსვლელი ბიურო მოაწყო სირსაში. მოისმინა ქარხანათა სამმართველოს და სირსის ღვინის ქარხნის პარტბიუროს მდივნების, ქარხ- [illegible]

[illegible] ამთავრონ და სახელმწიფოს 2.300 ტონა ყურძენი მიჰყიდონ.

რთველი რაიონში ახლა ყველაზე მთავარ და პასუხსაგებ საქმედ არის მიჩნეული. დღეში საშუალოდ რაიონში 1.600-1.800 ტონა ყურძენი იკრიფება.

სიღნაღელი კომუნისტების, ყველა მევენახის მიზანი ერთია — რაც შეიძლება სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ ყურძნის მოსავალი და **სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 24.500 ტონა ყურძენი.**

## გარდაბნელთა ზვრებში

მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.200 ტონა ყურძენი

**რაიონის** საბჭოთა მეურნეობებში რთველი დაიწყო. აქ ჯერ სუფრის ჯიშებს — განჯურს, თავრიზულს, ჩინურსა და ბულგარულს კრეფენ, 10 სექტემბრიდან კი მასობრივად შეუდგებიან რქაწითელის კრეფასაც.

როგორც პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ზაუტაშვილმა** განაცხადა, **წლეულს რაიონში გეგმით უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 9.120 ტონა ყურძენი.**

ყველა ღონისძიება ხორციელდება იმისათვის, რომ გვემავალდებულება წარმატებით შესრულდეს.

ყურძნის კრეფას პირველად რაიონში შეუდგნენ ვარკეთილის, სამგორის, ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. გუშინ საღამოსათვის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში უკვე მოკრეფილი ჰქონდათ 70 ტონა, სამგორში — 50 ტონა, ხოლო ლილოში — 15 ტონა ყურძენი.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი კ. ჭანტურია) წლეულს უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 400 ტონა ყურძენი, აქედან 140 ტონას სპეციალურ მაცივრებში შეინახავენ. ამ მეურნეობაში რთველი ორგანიზებულად დაიწყეს იმ აგროგანყოფილებებმა, რომლებსაც კ. ჯაფოძე, ზ. ტაბატაძე, კ. კოპალეიშვილი ხელმძღვანელობენ.

რთველი წარმატებით მიმდინარეობს.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## 425.000 ტონა ყურძენი

# სწრაფი ტემპით დავამზადოთ საკვები!

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1 სექტემბრისათვის

(პროცენტობით)

| | სულ უხეში საკვები | თივა | სენაჟი | სხვა უხეში საკვები | [illegible] სილოსი |
|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის | 89 | 87 | 98 | 37 | 27 |
| ბოგდანოვკის | 68 | 50 | 103 | 17 | 83 |
| ახალციხის | 109 | 61 | 105 | 86 | 9 |
| ადიგენის | 143 | 48 | 114 | 72 | 53 |
| ასპინძის | 110 | 63 | 102 | 46 | 29 |
| ხაშურის | 140 | 117 | 148 | 85 | 5 |
| ქარელის | 106 | 105 | 106 | 81 | 18 |
| გორის | 131 | 123 | 127 | 83 | 1 |
| კასპის | 93 | 73 | 116 | 70 | — |
| ბორჯომის | 94 | 64 | 107 | 49 | 45 |
| საგარეჯოს | 112 | 87 | 86 | 98 | 16 |
| გურჯაანის | 128 | 91 | 146 | 67 | 56 |
| სიღნაღის | 118 | 153 | 76 | 97 | 19 |
| წითელწყაროს | 108 | 108 | 93 | 99 | 52 |
| თელავის | 90 | 98 | 69 | 73 | 9 |
| ახმეტის | 97 | 48 | 78 | 91 | 24 |
| ყვარლის | 119 | 59 | 62 | 104 | 17 |
| ლაგოდეხის | 86 | 72 | 44 | 88 | 6 |
| გარდაბნის | 151 | 149 | 99 | 114 | 15 |
| მცხეთის | 118 | 103 | 111 | 55 | 8 |
| მარნეულის | 114 | 63 | 125 | 99 | 20 |
| ბოლნისის | 94 | 69 | 68 | 66 | 20 |
| წალკის | 70 | 50 | 104 | 26 | 37 |
| დუშეთის | 92 | 63 | 109 | 114 | — |
| თეთრიწყაროს | 94 | 75 | 97 | 62 | 20 |
| დმანისის | 77 | 53 | 95 | 58 | 76 |
| თიანეთის | 110 | 71 | 135 | 69 | — |
| ყაზბეგის | 58 | 58 | — | — | — |
| სამხრეთ ოსეთის | | | | | |
| ავტ. ოლქი | 82 | 55 | 99 | 60 | — |
| წყალტუბოს | 21 | 80 | 51 | 4 | 2 |
| სამტრედიის | 38 | 51 | 114 | 7 | 16 |
| წულუკიძის | 13 | 13 | 24 | 5 | — |
| ვანის | 48 | 113 | 84 | 7 | 32 |
| მაიაკოვსკის | 49 | 227 | 112 | 1 | 110 |
| ზესტაფონის | 42 | 87 | 74 | 12 | 10 |
| თერჯოლის | 50 | 220 | 156 | 18 | 37 |
| ჭიათურის | 49 | 178 | 89 | 11 | 6 |
| საჩხერის | 56 | 113 | 108 | 24 | 13 |
| ორჯონიკიძის | 31 | 102 | 100 | — | — |
| ტყიბულის | 12 | 45 | 50 | 0,1 | — |
| ონის | 91 | 97 | 78 | 4 | 31 |
| ამბროლაურის | 61 | 96 | 53 | 6 | — |
| ცაგერის | 43 | 87 | 82 | — | 12 |
| ლენტეხის | 51 | 56 | — | — | — |
| აბაშის | 26 | 43 | 83 | — | 11 |
| ცხაკაიას | 28 | 19 | 100 | — | — |
| გეგეჭკორის | 22 | 64 | 101 | — | 5 |
| ზუგდიდის | 20 | 21 | 61 | — | — |
| ხობის | 11 | 5 | 49 | — | — |
| წალენჯიხის | 13 | 7 | 60 | — | — |
| ჩხოროწყუს | 3 | 7 | 7 | — | — |
| მახარაძის | 5 | 9 | 25 | — | 1 |
| ლანჩხუთის | 32 | 12 | 161 | — | 2 |
| ჩოხატაურის | 33 | 48 | 71 | — | — |
| აფხაზეთის ასსრ | 20 | 40 | 41 | 1 | 2 |
| აჭარის ასსრ | 67 | 82 | 37 | — | 14 |
| ს უ ლ | 81 | 66 | 95 | 48 | 22 |

შემოდგომაზე მეურნეობებში განსაკუთრებით ბევრი გადაუდებელი საქმეა. ყურძნის, ხილის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლის აღებასთან ერთად მიმდინარეობს საკვების დამზადება. სხვადასხვა საკვების მაქსიმალური მარაგის შექმნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამკვრელური უბანია. მის წარმატებით მოწყობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის სახელმწიფო დავალებათა და ვალდებულებათა შესრულება. [illegible]

# ავტომშენებლები — საუკეთესოთა შორის

**თბილისის** № 1 ავტომშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა [illegible]

[illegible] ნეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, მუშებმა და სპეციალისტებმა გამონახეს კიდევ 10 ათასი [illegible]

[illegible] შეჯიბრების შესახებ". წლეულს მათ რამდენჯერმე გადასინჯეს შესაძლებლობანი, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და ყოველთვის კარგ შედეგებს აღწევდნენ.

— სასიამოვნოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენი კოლექტივის სიტყვა და საქმე ერთია, — თქვა საწარმოს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ხუციშვილმა. — ვალდებულებათა ვადამდე შესრულება კანონი გახდა. აწონ-დაწონ- [illegible]

[illegible] გია, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობის დიდი უმრავლესობა შეიცვალა ახლით. საექსპლოატაციოდ გადაცემულია კაბინების შეკეთებისა და შეღებვის ახალი ტექნოლოგიური ხაზი, დიდმწარმოებლური შესადუღი აპარატები. შედეგები სასიხარულოა. შრომის ნაყოფიერება 28 პროცენტით გაიზარდა.

(საქინფორმი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ

## ჰორსტ ზინდერმანს

**ძვირფასო** ამხანაგო ზინდერმანო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თქვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს, გულითადად გილოცავენ დაბადების მე-60 წლისთავს.

თქვენ ჩვენს ქვეყანაში გიცნობენ როგორც მტკიცე ანტიფაშისტსა და ინტერნაციონალისტს, რომელმაც განვლეთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის მკაცრი სკოლა, როგორც საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობარს.

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ დიდ წარმატებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის თქვენს საქმიანობაში.

კომუნისტური სალმით

**ლ. ბრეჟნევი** **ა. კოსიგინი**

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ჰორსტ ზინდერმანის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების მე-60 წლისთავის გამო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ჰორსტ ზინდერმანი დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 4 სექტემბერი.

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. შეელის საბჭოთა კავშირში მომავალი ვიზიტის გამო

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ვ. შეელი და ქალბატონი შეელი ამა წლის 10-16 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში.

**ღირსეული შეხვედრა — სკკპ XXV ყრილობას!**

## დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

# პასუხისმგებლობის საზომი

პარტიული ცხოვრება

ფართოა სოფლის კომუნისტების მოღვაწეობის სარბიელი. მაგრამ მთავარი მათთვის მაინც იყო და არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისათვის, საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობისათვის ზრუნვა. ამან კი თავის მხრივ მოგვცა საშუალება გარკვეული შედეგები მოგვეპოვებინა მთლიანად მეცხრე ხუთწლედისა და კერძოდ დამამთავრებელი წლისათვის.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" მხურვალედ გამოეხმაურნენ კასპის რაიონის კომუნისტები, მშრომელები, რომელთა პატრიოტულ მისწრაფებას — აკეთონ მეტი, აამაღლონ მუშაობაში ეფექტურობა — თან ახლავს მაღალი პასუხისმგებლობა.

პერსონალური, კოლექტიური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა — ეს არის მაღალი სოციალური გრძნობა, რომელიც საფუძვლად უდევს მორალური მოქმედების პრინციპს. პასუხისმგებლობის უქონლად არ არსებობს ადამიანის გეგმაზომიერი დადებითი საქმიანობა.

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები თითოეული შრომითი კოლექტივის, ცალკეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესებას. ამ მიზნით ვსწავლობთ და რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგნად ვხდით როგორც პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის, ისე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, კულტურისა და მოსახლეობის მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. ამ მხრივ მთელს ჩვენს მუშაობაზე დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა.

გასული წლის თებერვალში რაიკომის ბიურომ განახორციელა ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაგრამ სამმართველოს კოლექტივმა მაინც ვერ გაართვა თავი ჩამორჩენას, ვერ გარდაქმნა მუშაობა ახალ მოთხოვნათა მიხედვით.

ბიურომ შეისწავლა ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. გამოირკვა, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობას და პარტიულ ორგანიზაციას არ აღმოაჩნდა საჭირო პრინციპულობა და უნარი პარტიული და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. საქმემ მოითხოვა ხელმძღვანელობის შეცვლა. სამმართველოში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობით შეუდგნენ მუშაობას და შედეგმაც არ დააყოვნა — მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე.

შესრულებისადმი კონტროლის საქმეში ფართოდ ვიყენებთ სტატისტიკურ და სხვა მონაცემებს, ინფორმაციას ადგილებიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ხელმძღვანელ მუშაკთა და მშრომელთა პირადი კონტაქტის გაფართოებას, ადგილებზე შემოწმების პრაქტიკის შემდგომ სრულყოფას.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უფრო ხშირად არიან რაიკომის აპარატის მუშაკები. ისინი აქ სწავლობენ მათ საქმიანობას. პრაქტიკაში დაინერგა აგრეთვე პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ორგანოების კომპლექსური შემოწმება. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკების ჯგუფი ადგილებზე ამოწმებს არსებულ მდგომარეობას და პრაქტიკულ დახმარებას უწევს. ცხადია, ამან მნიშვნელოვნად აამაღლა როგორც ხელმძღვანელ მუშაკთა, ისე მშრომელთა პასუხისმგებლობა.

შარშან ერთმა ასეთმა ჯგუფმა, რომელსაც რაიკომის მდივანი მ. ზარასპაშვილი ხელმძღვანელობდა, შეისწავლა ქვემო ჭალის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. როგორც გამოირკვა, აქ ნაკლოვანებები იმის შედეგი იყო, რომ პარტიული კომიტეტის მდივანი ს. მეზვრიშვილი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა კრებებისა და კომიტეტის სხდომების მომზადებასა და მოწყობას, საკუთარი და ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულების შემოწმებას, ვერ ართმევდა თავს პარტიულ მეურნეობას. შემოწმების მასალები განიხილა რაიკომის ბიურომ. პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის შესუსტებისათვის ს. მეზვრიშვილს გამოუცხადა საყვედური. შემდეგ კი კომუნისტებმა იგი აღარ აირჩიეს მდივნად და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიანდეს ახალგაზრდა სპეციალისტს ც. გოხელაშვილს. მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ა. გოხელაშვილი ამ საპატიო დავალების შესრულებას. უკვე გამოსწორდა ზოგიერთი არსებითი ნაკლი. ახლა ქვემოჭალელი კომუნისტები შრომის ავანგარდში არიან და მათი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა წარმატებით წყვეტს დასახულ ამოცანებს.

ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობდა ვენახის მწვანე ოპერაციების სამუშაოები, კერძოდ ვაზის ფურჩვნა. სასწრაფოდ, შემოწმების პროცესშივე გატარდა ღონისძიებანი — მობილიზებულ იქნა სოფლის მთელი მოსახლეობა, მათ შორის დიასახლისები, პენსიონერები, მოსწავლეები, ეს სამუშაო მოკლე დროში შესრულდა და ჩამორჩენაც გამოსწორდა.

შარშან ასე კომპლექსურად შემოწმდა ყველა სასოფლო საბჭო. წელს ჯერჯერობით — ორი. შემოწმების შედეგებს განვიხილავთ ცალკეულ განყოფილებებში, თუ საქმე საგანგაშო მდგომარეობაა, იგი ბიუროს მსჯელობის საგანი ხდება.

ადამიანთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკასა და თვითკრიტიკას. შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი ისეთი ფაქტი, როცა დროული და სამართლიანი კრიტიკის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა ხარვეზები და ნაკლოვანებები.

მაგალითად, კომუნისტებისა და მშრომელების მიერ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და სასოფლო ყრილობებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შედეგად დადებითად გადაწყდა კავთისხევის კირქვის კარიერის და ცემენტის ქარხნის ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით და საწვავით მომარაგება, რეკონსტრუქცია გაუკეთდა კავთისხევის კირქვის კარიერის საბაგირო გზას, გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებანი „საქსოფლტექნიკის" კასპის განყოფილების ბრიგადების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, მიღებულ იქნა ზომები საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე სანიტარიული წესრიგის დასამყარებლად.

ეს მაგალითები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ კრიტიკა და თვითკრიტიკა რა დიდ გავლენას ახდენს ცალკეულ მუშაკებზე და შრომით კოლექტივებზე, როგორ ზრდის მათს პასუხისმგებლობას.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმასაც, თუ კოლექტივის სისტემატური ზრუნვით როგორ მაღლდება პიროვნების პასუხისმგებლობა, როგორ მტკიცდება დისციპლინა და ორგანიზებულობა.

ცემენტის ქარხნის დაფქვის საამქროს მეწისქვილე გ. ბაქაქური სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას, აცდენდა სამუშაოს, უდიერად ეპყრობოდა მანქანა-დანადგარებს და ამით ხელს უშლიდა საამქროს გამართულ მუშაობას. საამქროს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ გ. ბაქაქური აღეზარდათ, მისი გამოსწორებისათვის მეტი ზრუნვა გამოეჩინათ. კომუნისტები, საამქროს მთელი კოლექტივი გვერდში ამოუდგნენ გ. ბაქაქურს, ხშირად ამოწმებდნენ მის უბანს, ეხმარებოდნენ, ესაუბრებოდნენ. დაინტერესდნენ მისი პირადი ცხოვრებითაც და აი მასში გაიღვიძა ამხანაგებისადმი, თავის კოლექტივისადმი პატივისცემის გრძნობამ. ამჟამად გ. ბაქაქური საწარმოში კარგი ყოფაქცევის და შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა.

მეორე მაგალითიც: ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში იშვიათი როდი იყო გაცდენები, სამუშაოსათვის თავის არიდების ცდები. სწორედ ამის გამო გააკრიტიკეს გ. ჯავახი, ა. ჩირქეზიშვილი, ა. ახლოური და სხვები. მათ შესახებ ილაპარაკეს სოფლის ყრილობაზეც. პარტიულმა კომიტეტმა მათ მიამაგრა აგიტატორი ს. ნავროზაშვილი. ეფექტიანმა საუბრებმა, ზრუნვამ და ყურადღებამ ისინი დაუბრუნა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია პიროვნების შეგნება, მისი იდეურ-პოლიტიკური და თეორიული მომზადების დონე, მით უფრო მეტია მასში პასუხისმგებლობის გრძნობა, მაღალია მისი შრომის შედეგიც. ეს კარგად ესმით ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს და ღრმადაც იღწვიან მშრომელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. რაიონის მშრომელებში პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას ასობით აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, ლექტორი და პოლიტმომხსენებელი ეწევა.

მშრომელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას განსაკუთრებით უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება.

სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სამეურნეო ორგანიზაციების მშრომელთა უმრავლესობა წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, სოციალისტურ ვალდებულებებს. სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულება ხომ ცალკეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მუშაკის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას ნიშნავს. წელს ივნისში რაიკომის პლენუმმა მოისმინა ცემენტის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ანგარიში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისა და ყრილობის შესახვედრად გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც პლენუმზე აღინიშნა, კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი წინასაყრილობო ვახტზე დგას და შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა, იგი მუშაობს დევიზით „საწარმოო ფონდების ეფექტიანი გამოყენებით ვავადიდოთ ფონდუკუგება". მეცემენტეთა ვალდებულებაა სამხოლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 8 ათასი ტონა ცემენტი, ათასი კუბური მეტრი წვრილი საკედლე ბლოკები.

ტემპს უმატეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის სულადობის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალებანი.

დიდზე დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ უკვე ბევრს მივაღწიეთ და თვითკმაყოფილებას მივეცემოდით. ამას ადასტურებს მთელი რიგი არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ორგანიზაციები, რომლებმაც მხარი ვერ აუბეს მოწინავეებს და კვლავ ჩამორჩებიან. მეტეხის სამშენ მასალათა კომბინატმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმა ვერ შეასრულა და სახელმწიფოს მილიონ ნახევარი ცალი აგური დააკლო. კომბინატის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლო ვერ აუღეს შექმნილ მდგომარეობას. დაბალია აქ მომუშავე ადამიანთა პასუხისმგებლობა. ადგილი აქვს სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენას, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. ნაკლოვანებებია ყველ-კარაქის მთავარი ქარხნის, ყარაღაჯის, დოესის, ნოსტეს კოლმეურნეობათა მუშაობაში. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზია აქ მომუშავე ხელმძღვანელი კადრების, ცალკეულ კომუნისტთა დაბალი პერსონალური პასუხისმგებლობა.

დიახ, პასუხისმგებლობა, თვითკონტროლი და თვითდისციპლინა! — აი რა უნდა ჩაუნერგოს თითოეულ მშრომელს დღეს პარტიის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

**ლ. ისაკაძე,**
საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი.

# იქნება 21.000 ტონა კარტოფილი

## ახალქალაქელი მეკარტოფილეები იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ცხელა. დიდი ხანია წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა ჯავახეთში. ველ-მინდვრები გადაყვითლდა. ბალახი გახმა. მიწა გამოშრა, დასკდა.

ასეთი გვალვები უფრო დიდ ზიანს აყენებდა ახალქალაქელ მეკარტოფილეებს და მკვეთრად ამცირებდა კარტოფილის მოსავლიანობას. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ წლეულს აქ უწყლობა არ დასტყობია კარტოფილის ნათესებს.

რით და როგორ შეძლეს ახალქალაქელმა მეკარტოფილეებმა გვალვის დამარცხება.

ხანგრძლივი გვალვები ჯერ კიდევ შარშან დაატყდა თავს ახალქალაქის რაიონს. სწორედ მაშინ შეიძინეს გვალვის წინააღმდეგ გვალვის დამარცხება?

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა მცირე სამელიორაციო სამუშაოების ჩასატარებლად. საზოგადოებრივ მეურნეობებს ეხმარებოდნენ რაიონის საწარმო-დაწესებულებების მუშაკები.

და აი, ორ წელიწადში რაიონში მოეწყო სხვადასხვა მოცულობის 19 წყალსაცავი და წყალსაგუბარი, რომელთა საერთო ტევადობა თითქმის 700 ათასი კუბური მეტრია. აქედან დამატებით გასარწყავდა 580 ჰექტარი კარტოფილის ნათესი.

რაიონში შემოზიდეს და წარმატებით აითვისეს 76 კომპლექტი სხვადასხვა მარკის მოძრავი, გადასატანი სატუმბავი სადგურები, ხელოვნური დაწვიმების აგრეგატები და სხვა სარწყავი დანადგარები, რამაც საშუალება მისცა მეკარტოფილეებს გადასულიყვნენ რწყვის პროგრესულ მეთოდზე — ხელოვნურ დაწვიმებაზე.

ჯერ კიდევ რწყვის სეზონის დაწყებამდე რაიონის წყალთა მეურნეობის სამმართველოს (უფროსი ნ. თხელიძე) მუშაკებმა შეაკეთეს და აღადგინეს მაჭატიის, ხანდოს, ბეჟანო-კოთელიის მაგისტრალური, მერენიის, ბუღაშენის, გომანის და სხვა სოფლების შიდასამეურნეო არხები.

შეაკეთეს და მწყობრში დროულად ჩააყენეს აბულის კოთელიის, ზაკვის წყალსატუმბი სადგურები, რომლებიც რწყვის მთელ სეზონში მაღალცხლებელ წყალს შეუფერხებლად აწვდიან ზაკვის საბჭოთა მეურნეობის, კოთელიის, ხანდოს, ვარევნის, ორჯის, არაგვის, აბულის, თახჩის კოლმეურნეობების კარტოფილის ნათესებს.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაკებმა წყალსაცავი მოაწყეს სოფელ კორხის კოლმეურნეობაში და ამაზე უფრო დიდი წყალსაცავის მოწყობაში დაეხმარნენ ალასტნის საბჭოთა მეურნეობას. მათვე რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობისათვის მოამზადეს მორწყველები.

წლეულს რაიონში 2.880 ჰექტარზე უთესიათ კარტოფილი. აქედან ირწყვება 2.386 ჰექტარი, მათ შორის ხელოვნური დაწვიმებით — 1500 ჰექტარი.

რაიონში მცირე მოცულობის წყალსაცავების მოწყობისა და ხელოვნური დაწვიმების დანერგვის ინიციატორად ბურნაშეთის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. კოჩოიანი) ითვლება. ახლა ამ კოლმეურნეობაში აქვთ საკუთარი ძალებით მოწყობილი 3 წყალსაცავი, თითოეული 50-60 ათასი კუბური მეტრის ტევადობისა და ოთხი დასაწვიმებელი აგრეგატი. აქ კარტოფილის მთელი ნათესი ფართობი (70 ჰექტარი) უკვე სამჯერ მორწყეს.

კოჩიოს საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ვ. ალექსანიანი) „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების (უფროსი ვ. ეფრიკიანი) დახმარებით მოაწყო 4 წყალსაცავი, თითოეული 50-100 ათასი კუბური მეტრის ტევადობისა. მეურნეობის მორწყველ-მექანიზატორებმა, რომლებიც განკარგულებაშია 11 დასაწვიმებელი აგრეგატი და 3 სარწყავი დანადგარი, 250 ჰექტარი კარტოფილის ნათესიდან ორჯერ მორწყეს ხელოვნური დაწვიმებით 200 ჰექტარი, ხოლო ღარებში მიშვებით — 50 ჰექტარი. ახლა აქ წარმატებით მიმდინარეობს კარტოფილის მესამე რწყვა.

კარტოფილის ნათესებს წყალს არ აკლებენ სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობაში. აქ წელს კარტოფილი უთესიათ 80 ჰექტარზე. ენერგიულად შრომობენ კოლმეურნეობის მექანიზატორები და მორწყველები ს. არზუმანიანი, ვ. გვარამაძე, ა. პეტროსიანი, ბ. დავთიანი, ქ. მურჯიკნელი, ა. მამულიანი და სხვები.

— წელს ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გვარამაძე, — ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერ კარტოფილის მიღებას [illegible] ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული [illegible] ცენტნერისა. უფრო უხვ მოსავალს მოელიან მემინდვრეობის ის ბრიგადები, რომელთაც კომუნისტები პ. გვარამაძე და გ. ბაქარიანი ხელმძღვანელობენ.

კარტოფილის ნათესებს წყალი არ აკლია სოფელ კოთელიის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ზარიძე), სადაც ის კულტურა 40 ჰექტარზე უთესიათ. მექანიზატორი ილიკო ყავრელიშვილი ერთი დასაწვიმებელი სარწყავი აგრეგატით ყოველდღიურად რწყავს 7 ჰექტარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარისა. კოლმეურნეობის დამსწრდილ მორწყველებს გ. ყავრელიშვილს, ნ. ზარიძეს კარტოფილის რწყვაზე მხარში უდგანან სოფლის მასწავლებლები ნ. ზერუაშვილი, ნ. ზერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი თ. საბაშვილი და სხვები.

პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მოვსესიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— რაიონის მეკარტოფილეებმა გვალვასთან ბრძოლაში გაიმარჯვეს, მოსავალს კარგი პირი უჩანს, ნაკისრ ვალდებულებას — **სახელმწიფოს მივყიდოთ 21 ათასი ტონა კარტოფილი**, — გადაჭარბებით შევასრულებთ.

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად**

# საქართველოს სათიბ-საძოვრები

**● მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის რეზერვები ● სასუქების როლი მაღალმთიანი საძოვრების გაუმჯობესების საქმეში.**

**პარტიის** XXIV ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **„მეცხოველეობის განვითარებაში ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა საკვები ბაზის განმტკიცება".**

ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ახლებურად აყენებს საკითხს, საჭიროა ძირეულად შეიცვალოს დამოკიდებულება საკვები კულტურების მოვლა-მოყვანისადმი, ფართოდ დავნერგოთ ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიული შრომის საფუძვლები ბუნებრივი სავარგულების გაუმჯობესების საქმეში, მეტი რაოდენობით გამოვიყენოთ მინერალური სასუქები, მეცნიერულ საფუძვლებზე წარვმართოთ მისი წარმოება.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მეცხოველეობის გადასვლა ინდუსტრიულ წარმოებაზე. გაიზარდა მეცხოველეობისათვის გამოსაკვები მარცვლეულისა და სილოსის რაოდენობა, მეტი ყურადღება დაეთმო პარკოსანი კულტურების მოვლა-მოყვანას და მის გამოყენებას.

საქართველოში ბუნებრივი სათიბ-საძოვრებიდან 1931,2 ათასი ჰექტარი ზაფხულის საძოვრებს უჭირავს, ხოლო 460 ათასი ჰექტარი — ზამთრის საძოვრებს. ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ასეთი უთანაბრობის გამო ჩვენს რესპუბლიკას ჩრდილოეთ კავკასიაში ხანგრძლივ სარგებლობაში დათმობილი აქვს 258 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრები.

არასწორი ექსპლოატაციისა და მოუვლელობის შედეგად ჩვენი ბუნებრივი სათიბ-საძოვრები ძალზე დანაგვიანებული და დასარევლიანებულია. ზოგ შემთხვევაში დასარევლიანება 40 პროცენტს აღწევს, რასაც ხელს უწყობს თივის ოპტიმალური ვადების დარღვევა და პირუტყვის უსისტემო ძოვება.

უკანასკნელ წლებში დუშეთის რაიონის მაღალმთიან საძოვრებზე ჩვენს მიერ ჩატარებულმა მრავალჯერადმა ცდებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მინერალური სასუქების გამოყენებით მცირე დოზებითაც კი და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებით 2-3-ჯერ და მეტადაც გაიდიდა თივის მოსავალი, მისი ყუათიანობა და ხარისხი.

სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე ღონისძიება არსებობს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰერბიციდების გამოყენებას. პროფ. ს. ქარუმიძის, კ. ბუაჩიძის და კ. ჩარკვიანის მიერ ჩატარებული ცდებით დამტკიცდა, რომ შერჩევით ჰერბიციდების, დიკოტექსის, ბალილ-ის და ტორდონის გამოყენებით ქინძები და ისპობა მთელი რიგი სარეველები (შხამა, ძილი და სხვა), ეს ჰერბიციდები კი უარყოფით გავლენას არ ამჟღავნებენ საკვებად ვარგის მცენარეებზე. ამ შემთხვევაში კორდი არ იშლება და არც ეროზიულ მოვლენებს აქვს ადგილი.

აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის ჰექტარზე 60 კილოგრამის შეტანამ ხალასი საკვები ნივთიერების რაოდენობით 50 ცენტნერით გაადიდა ხარისხოვანი თივის მოსავალი.

სასუქების ოპტიმალური დოზების გამოყენებით მაღალმთიან საძოვარზე ბალახნარევი 80-100 სანტიმეტრამდე გაიზარდა, რაც მაღალმთიანი საძოვრების ვაკე ადგილებში სათიბების მოწყობის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან დიდი სხვაობაა სათიბებსა და საძოვრებს შორის. სათიბები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, და ისიც დაბალმოსავლიანია, ამიტომ მაღალმთიან რაიონებში ზოგიერთი ნაკვეთის სათიბებად გარდაქმნა დიდად შეუწყობს ხელს ამ სხვაობის რეგულირებას.

მაღალმთიანი საძოვრების ნიადაგური და კლიმატური პირობები მცირე მანძილზე იცვლება. დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი რელიეფისა და მცენარეული საფარის მხრივაც, რაც განაპირობებს ამ საძოვრების ნაყოფიერების სიჭრელესაც. მეტად მცირე მანძილზეც კი ნიადაგში იცვლება ჰუმუსის პროცენტული შემადგენლობა, აზოტის, ფოსფორის, კალიუმის, მაგნიუმის, თუთიის, კობალტის და სხვათა შემცველობა.

ყველა ამ ელემენტის შემცველი სასუქების გამოყენება უნდა მოხდეს დიფერენცირებული წესით, მეცნიერულ საფუძველზე, ნიადაგში საკვები ელემენტების რაოდენობის გათვალისწინებით. ამისათვის საჭიროა მაღალმთიანი საძოვრებისათვის მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა.

ქიმიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მაღალმთიანი საძოვრების პროდუქტიულობის გადიდების მიზნით მიზანშეწონილია მინერალური სასუქები გამოყენებულ იქნას შემდეგი დოზით: **აზოტი — 60 კილოგრამი, ფოსფორი — 60 კილოგრამი და კალიუმი — 45 კილოგრამი** (ჰექტარზე ხალასი ნივთიერების ანგარიშით).

აზოტიანი სასუქებიდან უმჯობესია შეტანილ იქნას **ამონიუმის გვარჯილა და შარდოვანა,** ხოლო ფოსფორიანი **სასუქებიდან — სუპერფოსფატი, კალიუმიანი სასუქებიდან — ქლორკალიუმი.** მაღალმთიან საძოვრებზე უპირატესობა უნდა მიეცეს კონცენტრირებული მინერალური სასუქების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სასუქების შენახვის, ტრანსპორტირებისა და შეტანის ხარჯებს.

სათიბ-საძოვრებზე ქიმიზაციის მეცნიერულ საფუძველზე განხორციელებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ **ელექტრო-გამომთვლელი მანქანა.** ამ მანქანის შემწეობით მცენარის მიერ ნიადაგიდან გამოტანილი საკვები ნივთიერების, ნიადაგში არსებული ადვილად შესათვისებელი საკვები ნივთიერების რაოდენობის გათვალისწინებით და სხვა პარამეტრების დადგენის შემდეგ, სპეციალურად შედგენილი ფორმულის გამოყენებით დროის მცირე მონაკვეთში შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზა, როგორც გეგმიანი, ისე პროგნოზირებული მოსავლის მისაღებად. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წარმოებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

ჰერბიციდების და მინერალური სასუქების მეცნიერულ საფუძველზე გამოყენებით შეიძლება სასურველი მიმართულებით შევცვალოთ მცენარეული საფარის ბოტანიკური შედგენილობა და თივის მოსავლის ზრდასთან ერთად უზრუნველვყოთ თითოეული ჰექტარი ფართობიდან მეტი ცილის მიღება.

მაღალმთიანი საძოვრების ვაკე კულტურება, მისი გაწმენდა სარეველებისაგან, სასუქების შეტანა და სხვ. მეტად რთული აგროტექნიკური ღონისძიებაა. აქ უნდა გამოვიყენოთ მექანიზაცია, თვითმფრინავები და ვერტმფრენები. საჭიროა ჩამოყალიბებულ იქნას ქიმიზატორთა რაზმეულები და დაკომპლექტდეს მაღალკვალიფიციური კადრებით, მის განკარგულებაში უნდა იყოს სასუქები, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები, ტრანსპორტი და სხვა საშუალებები.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია უახლოეს პერიოდში შესწავლილ იქნას არსებული საშუალებები და უწინარეს ყოვლისა გზის ახლომახლო ვაკე ადგილებში მექანიზაციის ფართოდ გამოყენების საკითხი. ფართობებში შეტანილ იქნას საჭირო რაოდენობით მინერალური სასუქები, რაც ხელს შეუწყობს თივის მოსავლის ზრდას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასუქების სისტემატურად და ხანგრძლივად გამოყენების შესწავლას, აგრეთვე მცენარეში მიმდინარე მეტად რთულ და ღრმა ცვლილებებს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ყუათიანობის გადიდებას, მაღალმთიან საძოვრებზე სათიბების მოწყობას, აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას და რეკომენდებული ღონისძიებების ეკონომიური ეფექტურობის დადგენას, ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენას. განვახორციელოთ მრავალწლიანი ბალახნარევის (პარკოსნებისა და მარცვლოვანთა) თესვა. იგი გამოვიყენოთ სათიბად.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხვარეობის ინტენსიური განვითარების შესახებ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ დადგენილების განხორციელებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე მთავარია მეცხვარეობაში მტკიცედ დაინერგოს ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიული შრომის საფუძვლები. ეს კი მეცხვარეობის შემდგომი განვითარების საწინდარია.

**ი. სარიშვილი,**
პროფესორი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი.

## მეცხოველეობას — მთელი გულისყური!





### თივა, სენაჟი, სილოსი...

ცხინვალის რაიონის თამარაშენის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში დაძაბულად მუშაობენ იმისათვის, რომ მეცხოველეობისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა. საკვებმომპოვებლებმა გადაწყვიტეს დაამზადონ 600 ტონა თივა, ნაცვლად 500 ტონისა. ზამთრისათვის ექნებათ ათასი ტონა სილოსი. ამზადებენ აგრეთვე სენაჟს.

ამჟამად მეურნეობაში ბუნებრივი ბალახის თიბვა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ყუათიანი საკვები დაუმზადონ პირუტყვს, შექმნან ყველა პირობა მეცხოველეობის მეტი პროდუქტების მისაღებად, ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXV ყრილობას.

სურათებზე: (ზემოთ) მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მუშაკი დავით დათაშვილი; (მარცხნივ) თივის დამზადება თამარიშის საბჭოთა მეურნეობაში.

გ. დათიკაშვილისა და გ. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

□

## ზარი ჯერ კიდევ არ დარეკილა

**რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო**

**მშენებლობაში** და, კერძოდ, სასკოლო მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა იყო მოცემული გაზეთ „კომუნისტის" მოწინავე სტატიაში „ვაშენოთ სწრაფად და ხარისხიანად" (19.7) და აგრეთვე სტატიაში „ვაშენოთ სკოლა სწრაფად და კარგად" (5. 8).

ამის გამო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო. მინისტრის მოადგილე ი. გოგელია რედაქციას სწერს:

**გამოთქმული კრიტიკა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული №№ 4, 6 და 7 ტრესტების მიმართ, სინამდვილეს შეესაბამება. საკითხი განხილულია სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. ტრესტის მმართველების თანდასწრებით და დასახულია სათანადო ღონისძიება.**

წლეულს სასკოლო მშენებლობის დაგეგმვაში არის შეცდომები. გასაშვებად ჩაწერილია ისეთი სკოლები, სადაც მისასვლელი გზები არ იყო. მაგალითად, დმანისის რაიონის სოფელ კამიშლოში და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. გეოლოგიური პირობები თავიდანვე არ იყო დაზუსტებული, მაგალითად, გარდაბნის რაიონის სოფელ მუღანლოში და წალკის რაიონის სოფელ ლივადში. ივნისში დამკვეთმა შეცვალა დუშეთის რაიონის სოფ. ყვავილის სკოლის მშენებლობის პროექტი. ერთსართულიანი შენობის მაგივრად ახალი პროექტით ორსართულიანი შენობა უნდა ააშენონ.

ცხადია, ასეთი სკოლების მშენებლობის დამთავრება პირველ სექტემბრისათვის ვერ მოესწრო. აღნიშნული საკითხი სამინისტრომ დასვა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა სკოლების ნაწილის ჩაბარება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში იქნეს გადატანილი.

## გაღმით სკოლაა, გამოღმით — ბავშვი...

გაზეთ „კომუნისტის" 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი — „გაღმით სკოლაა, გამოღმით — ბავშვი...".

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ბ. გუჯაბიძემ რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სამინისტრომ მკაცრად დაავალა № 3 ტრესტის ხელმძღვანელობას აღნიშნულ სამუშაოთა დამთავრება უზრუნველყოს უახლოეს დღეებში.

## დაუდევრობა?!

**რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომი**

გაზეთ „კომუნისტის" 31 ივლისის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — „დაუდევრობა?!".

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი შუხუთის საშუალო სკოლის მშენებლობაში დაშვებული დეფექტებისა და უხეში დარღვევების შესახებ და მასალები დანაშაულის აღკვეთისათვის საგამოძიებო ორგანოებს გადასცა.

# გამარჯვებულს ჯილდო გადაეცა

**ქალაქ** თბილისის რაიონების მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში წლის პირველი ნახევრის შედეგებით გაიმარჯვა ორჯონიკიძის რაიონმა, რომელსაც მიენიჭა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რაიონის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 6,3 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, სწრაფია წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ტრანსპორტის, მშენებლობის, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებმა.

რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა თ. მენთეშაშვილმა მიულოცა შეკრებილთ, უსურვა ახალი წარმატებანი და საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველ მდივანს ა. დ. ჩიკვაიძეს გადასცა საპატიო ჯილდო. ა. ჩიკვაიძემ რაიონის მშრომელთა სახელით პარტიასა და მთავრობას აღუთქვა, რომ ორჯონიკიძელები, რომლებმაც გაშალეს სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრება, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმების წარმატებით რეალიზაციაში.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. გიორგაძე, საინსტრუმენტო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი რ. ცუცქირიძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი. (საქინფორმი).

# მსოფლიო დღეს

## ფინეთი — აღნიშნავენ პრეზიდენტის იუბილეს

ჰელსინკი. (საქდესი). ფინეთი ზეიმით აღნიშნავს ფინეთის რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, რესპუბლიკის პრეზიდენტის ურჰო კალევა კეკონენის დაბადების 75 წლისთავს.

პრეზიდენტის სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ისანოვი და საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი ეწვივნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს და 75 წლისთავთან დაკავშირებით გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისასალმებელი დეპეშა და სამახსოვრო საჩუქარი.

უ. კ. კეკონენმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებისა და მილოცვისათვის, მან განაცხადა, რომ ამასთანადელი შეხვედრების დროს, რომლებიც ჰქონდა ლ. ი. ბრეჟნევთან ჰელსინკში და ა. ნ. კოსიგინთან სვეტოგორსკში, დადასტურდა, რომ არის ყველა წანამძღვარი ორი ქვეყნის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

პრეზიდენტმა სთხოვა მათ ყოველივე საუკეთესო უსურვონ ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს მისი სახელით.

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კ. ლიინამაამ პრეზიდენტ უ. კ. კეკონენის დაბადების 75 წლისთავის გამო გამართა ოფიციალური საუზმე, რომელზეც იყვნენ მთავრობის წევრები და უცხოელი სტუმრები.

საუზმეზე გამოსვლისას კ. ლიინამაამ მიულოცა უ. კ. კეკონენს იუბილე. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფინეთის ომისშემდგომ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც „პაასიკივი-კეკონენის ხაზი" ეწოდა, საფუძვლად უდევს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უ. კ. კეკონენის მოღვაწეობის წყალობით ფინეთის საგარეო პოლიტიკამ ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ფინეთი მასპინძლის როლს ასრულებდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დროს მის პირველ და მესამე — საბოლოო ეტაპზე.

იმავე დღეს პრეზიდენტის სასახლეში დარბაზობა გამართა ურჰო კალევა კეკონენის 75 წლისთავის აღსანიშნავად. დარბაზობაზე იყვნენ ფინეთის მთავრობის წევრები, პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უცხოეთის სახელმწიფოთა ჰელსინკში ჩამოსული დელეგაციები და წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

## ახლო აღმოსავლეთი — კრიზისი გრძელდება

ნიუ-იორკი, (საქდესი). ამერიკის პრესა, რომელიც განმარტავს სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების მეორე ეტაპის შესახებ ეგვიპტისა და ისრაელის მიერ პარაფირებულ შეთანხმებას, აღიარებს, რომ იგი მეტად შეზღუდულია და ვერ წყვეტს ისრაელის მიერ მთელი არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების დაკმაყოფილების ძირითად პრობლემებს.

გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ შეთანხმების შესაბამისად „ეგვიპტის წინსვლა შეზღუდულია რამდენიმე მილით, მაშინ, როცა სინას 85 პროცენტი ისრაელის ოკუპაციაში რჩება".

ამანიდან მიღებულ კორესპონდენციაში გაზეთი აღნიშნავს: იორდანიაში „შიშობენ, რომ ეგვიპტე-ისრაელის უკანასკნელი მოწესრიგება გაართულებს სირიისა და იორდანიისათვის ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც ისრაელმა დაიპყრო 1967 წელს".

ეხება რა „ამერიკის პირდაპირ მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთში", „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ კონგრესი ალბათ, საბოლოო ანგარიშით, მოიწონებს შეთანხმებას, „ზოგიერთი კონგრესმენი კი, რომლებიც ჯერ კიდევ განიცდიან ვიეტნამის შოკს, უკვე პროტესტს აცხადებს სინას მთიან გადასასვლელებში 200 ამერიკელის დაბანაკების წინააღმდეგ, როგორც დიდი და შესაძლო საშიში სამხედრო ვალდებულების დაწყების წინააღმდეგ".

პარიზი. (საქდესი). ეგვიპტისა და ისრაელის შეთანხმება, წერს „ლუმანიტე", არ შეუწყობს ხელს „წინსვლას კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ, ვინაიდან იგი გვერდს უვლის მთავარ პრობლემებს".

ნიქოზია. (საქდესი). ახლო აღმოსავლეთის გამო ჟენევის საზავო კონფერენციის განახლება მოლაპარაკებების ერთადერთი მისაღები ფორმაა იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს კრიზისს ამ რაიონში, წერს „ჰარავგი".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს: მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მოთხოვნაა ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა გადაწყდეს მოლაპარაკებების გზით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საფუძველზე. ისრაელმა უნდა გაათავისუფლოს დაპყრობილი არაბული ტერიტორიები და ცნოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებანი.

□

## 4 სექტემბერი — ამბები • ფაქტები



საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ლისაბონი

განიხილეს ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა

ლუსაკა

რასისტთა გეგმები იფუშება

ბეირუთი

თელ-ავივი აძლიერებს პროვოკაციებს

## კაპიტალის სამყარო — კლასობრივი ბრძოლები არ ნელდება

ნიუ-იორკი. შემოდგომის პირველი დღეები კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით აღინიშნა შეერთებულ შტატებში. საგაფიცვო მოძრაობაში ტონს იძლევიან ქვეყნის საზოგადოებრივი სკოლების მასწავლებლები. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს კვლავ დახურული იყო ჩიკაგოს 600 სკოლა. 27 ათასი მასწავლებელი მოითხოვს ხელფასის მომატებას, კლასების განტვირთვასა და განათლების საჭიროებებისათვის ასიგნებათა შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნილი 1500 კოლეგის სამუშაოზე აღდგენას.

ყოველდღიური მუქარის მიუხედავად, უკვე სამი კვირაა სამუშაოდ არ გამოდის დასავლეთ ვირჯინიის 30 ათასზე მეტი მაღაროელი. ისინი ქვანახშირის შახტების მფლობელებისაგან მოითხოვენ ტექნიკის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში გაფიცვის უფლების პუნქტის შეტანას.

ბუენოს-აირესი. პილოტების გაფიცვის შედეგად არგენტინის საშინაო და საერთაშორისო ხაზებზე შეწყდა სახელმწიფო ავიაკომპანიის „აეროლინიას არხენტინას" თვითმფრინავების ფრენა. გაფიცულნი მოითხოვენ ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

რომი. დაახლოებით 110 მილიონი სამუშაო საათი დაიკარგა გაფიცვების შედეგ მიმდინარე წლის პირველ ექვსი თვის მანძილზე იტალიაში. ამას იუწყება სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტი.

ყველაზე მეტი სოციალური კონფლიქტები მოხდა ამ პერიოდის მანძილზე სოფლის მეურნეობასა და სახელმწიფო აპარატში.

ბრიუსელი. მეათე დღეა გრძელდება ბელგიელ სამდინარო ფლოტის მუშაკთა გაფიცვა. ერთმანეთის გვერდით მდგარმა კარჭაპებმა ჩაკეტეს მოძრაობა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს არხებსა და მდინარეებზე. ბლოკირებულია ბევრი ნავსადგური. გამოსვლის მონაწილენი მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის გადიდებას ცხოვრების მზარდი ღირებულების შესაბამისად.

ბელგიის მთავრობამ ზოგი რამ დაუთმო გაფიცულთ. მაგალითად, დაწესებულია ჯემების დაფრახტვის მინიმალური ქირა.

მაგრამ სამდინარო ფლოტის მუშაკები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამდინარო გზების ბლოკადა, სანამ მთლიანად არ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს.

## სამშობლოდან გაძევებულნი

ვაშინგტონი. (საქდესი). კამბოჯისა და სამხრეთ ვიეტნამის 135 ათასი მოქალაქე გაიყვანა შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყნების ტერიტორიიდან მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ეს დაზუსტებული მონაცემები მოიყვანა ჯულია ტაფტმა — სპეციალური სამუშაო ჯგუფის მეთაურმა, რომელიც მუშაობს „ლტოლვილთა" გადასახლების პროგრამის განხორციელებაზე.

## პორტუგალია — დამტკიცება გადაიდო

ლისაბონი. (საქდესი). ტანკუშის სამხედრო-საჰაერო ბაზაში გაიმართა სახმელეთო ძალების ასამბლეა. ეწყობა აგრეთვე სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების ასამბლეები. ეს სამი ასამბლეა მოიწვიეს შეიარაღებული ძალების მოძრაობის ასამბლეის პლენარული სხდომის მოსამზადებლად, სადაც განიხილავენ ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობის საკითხებს, კერძოდ რევოლუციური საბჭოს რეორგანიზაციის საკითხს. ასამბლეა 5 სექტემბერს შეიკრიბება.

სახმელეთო ძალების ასამბლეის მუშაობის შედეგების შესახებ ოფიციალურ კომუნიკეში მოკლედ არის ნათქვამი, რომ დელეგატებმა განიხილეს სახმელეთო ძალების შტაბის უფროსის გენერალ კარლუშ ფაბიაის მოხსენება ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების თაობაზე.

ასამბლეაზე გამოვიდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ვასკუ გონსალვეში.

პრესის ცნობით, მან თავის გამოსვლაში გააკრიტიკა იმ ოფიცრების საქმიანობა, რომლებიც შედიან ოპოზიციურ ეგრეთ წოდებულ „ცხრათა ჯგუფში".

სამხედრო-საჰაერო ძალების სერჟანტთა საკოორდინაციო კომისიამ გამოაქვეყნა პროტესტი სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის გენერალ მორაიშ დე სილვას დირექტივის წინააღმდეგ. მისი დირექტივის შესაბამისად სამხედრო-საჰაერო ძალების ასამბლეის დელეგატთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი, რამაც გამოიწვია მთელი რიგი პროგრესული სამხედრო პირების გადაყენება.

აქ გამოაცხადეს, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის პინიეირუ დი აზევედოსა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ახალი უფროსის ვასკუ გონსალვეშის თანამდებობაზე დამტკიცება გადაიდო შეიარაღებული ძალების მოძრაობის ასამბლეის პლენარულ სხდომამდე. ამ გადადებას პრესა უკავშირებს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის ახალ გართულებას.

## ლიბანი — აგრესიის ესკალაცია

ბეირუთი. (საქდესი). თელ-ავივი აძლიერებს პროვოკაციებს ლიბანის წინააღმდეგ. ოთხშაბათს ისრაელის „ფანტომის" ტიპის 6 თვითმფრინავი თავს დაესხა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკს — ბურჯ ელ-შემალის და ტირის ჩრდილოეთით მდებარე ლიბანის სოფელ ელ-კასმიას. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 7, დაიჭრა 11 კაცი, დაინგრა მშვიდობიან მცხოვრებთა ბევრი სახლი.

3 სექტემბერს ღამით ქალაქ საიდის სამხრეთ გარეუბნებში, 40 კილომეტრზე ლიბანის დედაქალაქის სამხრეთით, გადასხეს ისრაელის დესანტი. აინ-ჰილვეს ბანაკის პალესტინელთა რაზმებმა წინასწარი მონაცემებით, ისრაელის დესანტს დიდი ზარალი მიაყენა და იგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

ბეირუთის საზოგადოებრიობამ და პრესამ გულისწყრომით დაგმეს ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიული აქტების ესკალაცია.

## სსრ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტში

მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 30 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა მიიღო ბევრი წერილი, რომლებშიც ბრძოლების, მათ შორის ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილენი, აგრეთვე დაღუპულ მეომართა ნათესავები და ახლობლები დაბეჯითებით ითხოვდნენ, რომ კომიტეტი და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს გვირგვინებით შეემკოთ წარსულ ომში დაღუპული საბჭოთა მოქალაქეების საფლავები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ჩინეთის შესაბამის ორგანოებს აცნობეს, რომ საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტს სურდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაეგზავნა იაპონელ დამპყრობთაგან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის განთავისუფლების მონაწილეთა დელეგაცია, რათა გვირგვინებით შეემკო ერთობ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთის მიწა-წყალზე დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლები. ამავე დროს ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირის იმ მხარეებისა და ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინციებს ესაზღვრებიან, სურდათ, თუ ჩინეთის ხელისუფალნი თანხმობას განაცხადებდნენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინებით შეემკოთ საბჭოთა მეომრების ძეგლები.

29 აგვისტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომიტეტს გადასცა ჩინეთის ხელისუფალთა პასუხი, რომელშიც უხეშად ეუბნებიან უარს თხოვნაზე, რომ შესაძლებლობა მისცენ გვირგვინებით შეამკონ საბჭოთა მეომრების საფლავები ჩინეთის მიწაზე.

ამ აქტით ჩინეთის ხელისუფლებმა ერთხელ კიდევ გამოამჟღავნეს უპატივცემლობა იმ საბჭოთა ადამიანების ხსოვნისადმი, რომლებმაც მოიხადეს თავიანთი ინტერნაციონალური ვალი და თავი გაწირეს იაპონელ დამპყრობთაგან ჩინეთის ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

## ფოტოინფორმაცია




□ გვინეა-ბისაუ

ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნის — გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა პროგრამას, რომელიც გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის პარტიამ (პაიგკ) წამოაყენა.

სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია ბისაუში.

საქდესის ფოტო.



□ ა შ შ

ქალაქ ბოსტონის სახელწოდება კვლავ გამოჩნდა ამერიკის პრესის ფურცლებზე. აქ რასობრივი მღელვარების ახალი აფეთქება მოხდა ადგილობრივი რასისტების პროვოკაციული გამოხდომის გამო. ადგილობრივი პოლიციის უუნარობამ თუ მოუნდომებლობამ, რათა აღეკვეთათ რასისტთა გამოხდომა, აღაშფოთა ბოსტონის ათასობით მცხოვრები და მასობრივი მღელვარება გამოიწვია.

სურათზე: პოლიცია უსწორდება ანტირასისტული დემონსტრაციის მონაწილე ზანგებს.

აპ-საქდესის ფოტო.

## ნამიბია — მარიონეტები ვერ შეთანხმდნენ

ლუსაკა. (საქდესი). იფუშება სამხრეთაფრიკელი რასისტების მორიგი ცდა, რომ ნამიბიაში თავიანთი ბატონობა დააკანონონ ქვეყნის ბანტუსტანებად — ფერადკანიანი მოსახლეობის რეზერვაციებად დაყოფის გზით.

ტომების ბელადებისა და ნამიბიის თეთრკანიანი უმცირესობის წარმომადგენლების შეხვედრა, რომელსაც დიდის ამბით უწოდეს „ნამიბიის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმის საკითხთა კონსტიტუციური კონფერენცია", ის იყო გაიხსნა, რომ რამდენიმე დღით გადაიდო. ტომთა ბელადების — რასისტთა მარიონეტების — სწრაფვამ რაც შეიძლება სარფიანად გაყიდონ ხალხის ინტერესები, სერიოზული უთანხმოებანი წარმოშვა მათ შორის.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციამ — ნამიბიის ხალხის ნამდვილმა წარმომადგენელმა — ბოიკოტი გამოუცხადა კონფერენციას და მოუწოდა ქვეყნის ხალხს გააძლიეროს ბრძოლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გეგმების წინააღმდეგ, რომელიც ისწრაფვის შეინარჩუნოს ბატონობა ნამიბიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად.

## ეკვადორი — შეთქმულება ჩაიფუშა

კიტო. (საქდესი). რეაქციის მიერ სახელმწიფო გადატრიალების ცდასთან დაკავშირებული რამდენიმე დაძაბული საათის შემდეგ მდგომარეობა ეკვადორში სავსებით ნორმალური გახდა.

შეამბოხეთა მეთაური გენერალი რაულ გონსალეს ალვეარი დაიმალა კიტოში ჩილეს ხუნტის საელჩოს შენობაში. ასამდე ოფიცერი, რომლებიც მასთან ერთად გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ, დააპატიმრეს. „ეკვადორელ ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს დამნაშავეთა უმკაცრესი დასჯა, რათა ამგვარი მოქმედება აღარ განმეორდეს", — განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა გილიერმო როდრიგეს ლარამ.

ეკვადორის პრესა აღნიშნავს, რომ შეთქმულებს ზურგს უმაგრებდნენ მსხვილ მესაკუთრეთა წარმომადგენელი კონსერვატიული პარტიები და უცხოეთის ადგილობრივი მონოპოლიები, უმთავრესად ნავთობისა, როგორიცაა „ტექსაკო გალფის" ჯგუფი, რომლებსაც ხელს არ აძლევს ეკვადორის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკა.

ეკვადორის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც დაგმო რეაქციის გამოხდომა, მოუწოდა მშრომელებს, ყველა პატრიოტს — სამოქალაქო და სამხედრო პატრიოტებს, ამაღლონ სიფხიზლე, გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ ერთად უზრუნველყონ პრეზიდენტ გ. როდრიგეს ლარას მთავრობის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ სამ წელიწადნახევრის წინ ქვეყანაში დაწყებულ გარდაქმნათა პროცესის განგრძობა.

## ტელეტაიპის ლენტიდან — მოკლედ

● ბერლინი. 18 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის ორასამდე მეცნიერი, ინჟინერი და ტექნიკოსი მონაწილეობს ლაიფციგის ორდლიანი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობაში. იგი ეძღვნება ქიმიურ წარმოებაში ახალი სახეობის კატალიზატორთა გამოყენებისა და შემუშავების საკითხებს.

● ვარშავა. მეორე „ვარსკვლავური სახლი" გადაეცათ ქალაქ კატოვიცის მცხოვრებლებს. ეს 25-სართულიანი შენობები აშენდა რვაქიმიანი ვარსკვლავის სახით. 192 ბინიდან ყოველი ბინა მზიანია.

● ბოგოტა. ამ ბოლო 12 თვის მანძილზე თითქმის 25 პროცენტით გაძვირდა ცხოვრება კოლუმბიაში. ქვეყნის ეროვნული სტატისტიკური სამმართველო აღნიშნავს, რომ ფასებმა განსაკუთრებით მკვეთრად მოიმატეს წელს.

● ვაშინგტონი. ამერიკის განათლების სისტემაში რასობრივმა დისკრიმინაციამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო იძულებული გახდა ამ პრაქტიკის გამოძიება დაეწყო საშუალო სკოლების სისტემაში. სპეციალურ მემორანდუმში, რომელიც ორმოცდაათივე შტატის განათლების ორგანოებს გაუგზავნეს, სამინისტრო აღნიშნავს, რომ „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი მოსწავლენი მთელ ქვეყანაში უფრო ხშირად იღებენ დისციპლინარულ სასჯელს, ვიდრე სხვა ბავშვები".

● აკრა. 200 ათას სედზე მეტი გამოჰყო განის მთავრობამ ონქოცერკოზის („მდინარის სიბრმავის") წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განსახორციელებლად. ეს საშიში დაავადება, რომელიც ასნეულებს ადამიანებსა და ცხოველებს, ფართოდ გავრცელდა მდინარე ვოლტის აუზში, ქვეყნის ჩრდილოეთით.

დასახული პროგრამის შესაბამისად ვარაუდობენ, განახორციელონ ქიმიურ-ბიოლოგიური ღონისძიებანი ამ დაავადების გამავრცელებლის — განსაკუთრებული სახეობის ბუზის მოსასპობად, აგრეთვე დასნეულებული რაიონებიდან გახიზნონ 10 ათასზე მეტი ოჯახი.

(საქდესი, 4 სექტემბერი).

## კულტურის ქრონიკა



### შენდება ყრილობათა სასახლე

პრაღა. 1977-1981 წლებში პრაღაში აშენდება ყრილობათა სასახლის ახალი შენობა. მის ასაგებად ასიგნებულია 1.2 მილიონი კრონი. აქ გაიმართება პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ყრილობები და კონფერენციები, სამეცნიერო კონგრესები და სიმპოზიუმები. სასახლეში მოეწყობა აგრეთვე დიდი კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, კინოფესტივალები.

### მხატვართა შეხვედრები

ბუდაპეშტი. უნგრეთში დაიხურა მხატვართა ტრადიციული საზაფხულო ბანაკები. წელს ეს ბანაკები მოეწყო ქვეყნის 11 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

საზაფხულო ბანაკები უკვე თერთმეტი წელია მოქმედებს უნგრეთის მხატვართა კავშირის ინიციატივით. აქ ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უნგრელი და საზღვარგარეთელი ოსტატები.

### მოცარტის 100 ტომი

ბონი. დასავლეთ გერმანიის გამომცემლობა „ბერენრაიტერ-ფერლაგმა" ქალაქ კასელში გამოუშვა მოცარტის წერილებისა და ჩანაწერების სრული კრებული. მასალები მოამზადეს მოცარტის „ზალცბურგის საერთაშორისო ფონდის" თანამშრომლებმა. კრებულში შედის წერილების ოთხი ტომი, რეცენზიებისა და კომენტარების ორი ტომი და ბიბლიოგრაფიული საძიებელი.

გამომცემლობამ გამოუშვა აგრეთვე გენიალური კომპოზიტორის ნაწარმოებთა 75-ე ტომი. სულ უნდა მომზადდეს 100 ტომი.

### დაუწესეს კონტროლი

ლაგოსი. ნიგერიის მთავრობამ კონტროლი დაუწესა ქვეყნის უდიდეს გამომცემლობას „დეილი ტაიმს ოფ ნაიჯირიას". ახლა მას ეკუთვნის ამ გამომცემლობის აქციათა 60 პროცენტი, რომელიც უშვებს გაზეთებს „დეილი ტაიმსსა" და „სანდი ტაიმსს". ეს გაზეთები ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდიან ქვეყანაში, აგრეთვე რვა სხვა ჟურნალ-გაზეთს.

(საქდესი, 4 სექტემბერი)

## მკითხველი მსოფლიოს რუკასთან — მიკრონეზია

წყნარი ოკეანის უკიდეგანო სივრცეებში ინდონეზიის ჩრდილოეთით მდებარეობს კაროლინის, მარშალისა და მარიანის კუნძულების არქიპელაგები, ისინი სხვადასხვა დროს აღმოაჩინეს ესპანელებმა. შემდეგ ზოგიერთი მათგანი გადაივიწყეს და კვლავ აღმოაჩინეს. კაროლინის არქიპელაგს სახელი ესპანეთის მეფის კარლოს II-ის სახელის მიხედვით დაერქვა, მარშალის არქიპელაგი (რომელიც 1521 წელს აღმოაჩინა მაგელანმა. შემდეგ 1529 წელს მაგელანის თანამემამულემ საავედრამ და ბოლოს 1788 წელს ინგლისელებმა მარშალმა და გილბერტმა) უკანასკნელი აღმომჩენისა და მკვლევარის — მარშალის სახელს ატარებს. მარიანის არქიპელაგის სახელწოდება კი მომდინარეობს ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის მეუღლის მარიანას სახელისაგან. ამ არქიპელაგებში შემავალი კუნძულების საერთო რიცხვი 2 ათასს აღემატება. მათ შორის მხოლოდ ასიოდე კუნძული არის მუდმივად დასახლებული. გარდა ამ არქიპელაგებისა, მიკრონეზიაში შედის აგრეთვე გილბერტის (სახელწოდება მომდინარეობს ინგლისელი მკვლევარის გილბერტის სახელისაგან) და ოშენის არქიპელაგები, კუნძული ნაურუ. მიკრონეზიის კუნძულების დიდი რაოდენობა აღმოაჩინეს და რუკაზე აღნიშნეს აგრეთვე რუსმა მკვლევარებმა კოცებუმ, კრუზენშტერნმა, მიკლუხო-მაკლაიმ. ამ კუნძულებს მათ დაარქვეს რიმსკი-კორსაკოვის, კუტუზოვის, სუვოროვისა და სხვათა სახელები.

კუნძულების საერთო ფართობი 1.780 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ისინი დიდ მანძილზე არიან გაფანტულნი და ტერიტორიულად ამერიკის შეერთებულ შტატებს უახლოვდებიან. ამ საოცრად წარმტაცი და ზღაპრულად მომხიბვლელი სილამაზის კუნძულების მოსახლეობა 200.000 (1970 წ.) კაცს შეადგენს და იმ კუნძულების საერთო ფართობი, რომელზეც მიკრონეზიელები ცხოვრობენ, ერთი დიდი ფეხბურთის მოედნის ტოლია. ტერიტორია ექვს ადმინისტრაციულ ცენტრად არის დაყოფილი. არქიპელაგების მმართველებად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი სენატისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით ნიშნავს კომისრებს. საკანონმდებლო ორგანოა მიკრონეზიის კონგრესი, რომელიც სენატის პალატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან შედგება. სენატის პალატაში შედის 12 სენატორი, რომელთა არჩევა ხდება ოთხი წლის ვადით. წარმომადგენელთა პალატა შედგება 21 წევრისაგან, რომელთაც ორ წელიწადში ერთხელ ირჩევენ. თვითეული ადმინისტრაციული ოლქი შედგება თანაბარი რაოდენობის ამომრჩევლებისაგან, თვითეულ ოლქს აქვს თავისი საკანონმდებლო ორგანო.

ამჟამად უმაღლესი კომისარია ედვარდ ჯონსტონი.

• • •

მიკრონეზიის ძირითადი ტომები არიან პონაპე, ჩამორო, ნაურუ და სხვ. მოსახლეობა მიეკუთვნება მელანეზიის, პოლინეზიის, ინდონეზიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპს. ამ ხალხებთან მსგავსება ჩანს მიკრონეზიის კულტურაშიც. დასავლეთი კულტურის მხრივ ენათესავება ინდონეზიას, ხოლო აღმოსავლეთი — პოლინეზიას. მიკრონეზიელები ლაპარაკობენ მელანეზიურისა და პოლინეზიურის მონათესავე ენაზე. არქიპელაგების მოსახლეობა ცხოვრობდა მატრიარქალურ გვარებად, ტომი ქალის გვარის მატარებელი იყო. ფულის საშუალებად იყენებდნენ სხვადასხვა ზომის ნიჟარებსა და ქვებს. მაგალითად, იაპის კუნძულებზე, სადაც ქვა საერთოდ არ არის, ფულის ერთეულად იყენებდნენ რამდენიმე ცენტნერის წონის გახვრეტილ ლოდებს, რომლებსაც ამზადებდნენ კუნძულ ფალაუზე და კუნძულ გუამზე, საიდანაც ნავებით გააქონდათ სხვა კუნძულებზე.

კოლონიზატორების დამკვიდრებამ მიკრონეზიის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება გამოიწვია. ჯერ კიდევ XVII ს. მარიანის კუნძულების მოსახლეობა თითქმის მთლიანად განადგურდა, დარჩენილი მცირე ნაწილი კი მოსულ მოსახლეობაში გაითქვიფა.

მიკრონეზიაში ოთხი კოლონიზატორული ქვეყანა ბატონობდა: ესპანეთი (1898 წლამდე), გერმანია (1899-1914 წწ.), იაპონია (1914-1944 წწ.), 1944 წლიდან — ამერიკა, რომელიც 1947 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით მიკრონეზიის მეურვე გახდა.

1970 წლის მიკრონეზიის კონგრესზე გადაწყვიტეს მიეღოთ ვაშინგტონის წინადადება იმის შესახებ, რომ მიკრონეზია გამხდარიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში შემავალი შტატი. მარიანის არქიპელაგი ამ გადაწყვეტილებას არ მიემხრო. ამა წლის ივნისის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს იმპერიალისტური გეგმის ახალი სტადიის განხორციელება — გამალებით მასობრივი კამპანია, რომელშიც დაბანდებულ იქნა 140 მილიონი დოლარი, რათა ჩაატარონ საარჩევნო კამპანია ჩრდილო მარიანის მოსახლეობაში და გამოიყენონ იგი ვაშინგტონისათვის ხმის მისაცემად. „პენტაგონის ამ გეგმის ავტორებმა ჯერ დაფარეს თავიანთი ზრახვები", წერდა ამა წლის 15 ივნისს გაზეთი „აზია მეგეზინი", „ტინიანზე, რომელიც მარიანის არქიპელაგში შემავალ 500 კილომეტრ სიგრძეზე გაჭიმულ 13 დიდი კუნძულის ჯაჭვს წარმოადგენს, ფართობის მესამედზე განლაგებულია ამერიკის ატომური იარაღის ბაზა". ამასთან ერთად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ტინიანის ერთ კუნძულზე ბრინჯაოს დაფა მნახველს ახსენებს ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ამ ოცდაათი წლის წინათ დატრიალებულ საშინელებას, რაც ატომური ბომბის აფეთქებას მოჰყვა.

ბოლო ხანებში მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ სამხრეთ მარიანის მთავარი კუნძული გუამი დიდი ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებს ექვემდებარება. ამ ცოტა ხნის წინათ მის შესახებ წერდა ტაილანდის გაზეთი „ბანგკოკ პოსტი". გუამზე მოქმედებს პენტაგონის აგენტურა, რომელიც ხელმძღვანელობს ფართო შპიონაჟს. აქვეა „ანდერსონის" საჰაერო სამხედრო ბაზა და საომარი ფლოტის ძლიერი შემადგენლობა. ტაილანდის გაზეთი დასძენს: „პენტაგონის სტრატეგებს აქვთ სურთ აღმართონ ბუფერული ზონა აზიასა და ამერიკას შორის".

როგორც „აზია მეგეზინი" აღნიშნავს; კუნძულების მოსახლეობა ერთსულოვნად მოითხოვს, რომ „ვაშინგტონმა მათ კუნძულებს თავისუფლება მისცეს". მიკრონეზიის კონგრესის დეპუტატი ოსკარ რასა აღნიშნავს, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც მიკრონეზიის მეურვე ამერიკა იყო, მას არავითარი ზრუნვა არ გამოუჩენია მიკრონეზიის ხალხის მიმართ, ქვეყნის რომელიმე დარგის განვითარებისათვის.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განსაკუთრებით მძლავრი იმპულსი იგრძნობა კაროლინის კუნძულებზე. ფალაუს ჯგუფის კუნძულების მოსახლეობაში ხშირად ისმის: „ჩვენ არ გავყიდით ჩვენი სიცოცხლისა და არსებობის უფლებას".

მიკრონეზიის სხვა მხარეში — მარშალის არქიპელაგში შემავალ ენივეტოკისა და ბიკინის კუნძულებზე პენტაგონის ავბედითმა წყალბადის ბომბებმა დაიბუდეს. მოსახლეობას საბრძოლველად შთააგონებს პატარა კუნძულის ნაურუს მაგალითი, რომელიც 1968 წლის იანვარში სუვერენულ სახელმწიფოდ, ნაურუს რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ პენტაგონი დროს უქმად როდი კარგავს. იგი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რათა ეს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი კუნძულები შეინარჩუნოს. გაზეთი „აზია მეგეზინი" აღნიშნავს: „კუნძულ კვაჯალეინზე განლაგებულია უკიდურესად გასაიდუმლოებული ამერიკული რაკეტული ბაზა".

როგორც პრესის გამოხმაურებანი ცხადყოფენ, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ვაშინგტონს შორს გამიზნული გეგმები მოქმედებს. ამერიკას სურს გათიშოს და იბატონოს.




უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით.

## ჩვენს ქალაქებში

# ფოთი

### გვესტუმრებიან ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტი



### მეოთხე ჭიშკარი

აეროპორტი — ქალაქის მეოთხე სატრანსპორტო ჭიშკარია საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილოს გარდა. იგი 1960 წელს გაიხსნა. თავდაპირველად აქედან ფრენა მხოლოდ სამი რეისით იყო, ახლა კი მგზავრები 16 რეისით სარგებლობენ. აეროპორტში არის სადისპეტჩერო, გადაზიდვის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო-საავიაციო, დაცვის განყოფილებები, სამედიცინო პუნქტი, ავტოპარკი, საბილეთო სალაროები. მიმდინარეობს სამუშაოები დასაფრენი მოედნის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის, რის შემდეგ აქ თანამედროვე ტიპის კომფორტულ თვითმფრინავებს იაკ-40-სა და ან-24-ს მიიღებენ. ამით გაიხსნება პირდაპირი საჰაერო ტრასა ჩვენი ქვეყნის ცენტრებთან და დიდ ქალაქებთან.

### პირველი ცხრასართულიანი

ქალაქის ცენტრალური ნაწილის სიახლეთა პანორამის ერთ-ერთი მშვენებაა პირველი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ქუთაისის სახლსამშენებლო კომბინატმა ააშენა.

ამ სახლში ლამაზი, კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ადამიანებმა.

### ძმობის მადლი

სამამულო ომის ბევრი ფოთელი მონაწილე მეგობრობას აგრძელებს ყოფილ ფრონტელებთან, ამ დღეებში კოლხეთის სატყეო მეურნეობისა და საქტორფის ქარხნის მუშაკებმა გ. გიორგიანმა და გ. რუხაძემ კეთილი მასპინძლობა გაუწიეს თავიანთ ფრონტელ ძმადნაფიცებს — კემეროვოელ პოეტს ვლადიმერ მამაევს და ხარკოველ დოცენტს ალექსანდრე პლიასიაკს.

კ. კომახიძე.

• • •

სურათზე: ქალაქის ერთი კუთხე.

## თელავის მომავალი

თელავი. (საკ. კორ). მოეწყო ქ. თელავის განაშენიანების და განვითარების გენერალური გეგმის პროექტის განხილვა, რომელიც ნავარაუდევია 1976-2000 წლებისათვის. გენერალური გეგმის პროექტი ქალაქის მომავალ განაშენიანება-განვითარებასთან ერთად დაკავშირებულია თელავის ისტორიულ ქალაქ-ნაკრძალად გამოცხადებასთანაც.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, არქიტექტორებმა, მშენებლებმა, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

დარბაზში გამოფენილი გენერალური გეგმის პროექტის შესახებ ახსნა-განმარტებას აძლევდნენ შემდგენელი ჯგუფის წევრები — მთავარი არქიტექტორი გ. თოთიბაძე, პროექტის ავტორები არქიტექტორები შ. შარაშიძე და რ. ხატიაშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი ეკონომისტი ლ. შანიძე, უფროსი არქიტექტორი მ. ჯიბლაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ და შენიშვნები გამოთქვეს პროფესორმა ლ. რჩეულიშვილმა, დოცენტმა ა. გვენცაძემ, ინჟინრებმა დ. მაღალაშვილმა და შ. ყარაულაშვილმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მ. დავითაშვილმა, ა. უთიაშვილმა, ბ. მირიანაშვილმა, ლ. სარიშვილმა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ხოლუაშვილმა.

ა. თვალიაშვილი

### ენგურჰესის მშენებლებთან

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობმა, აფხაზეთის ასსრ სახალხო და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. მაგრაქველიძემ ენგურჰესის მშენებლებთან წაიკითხა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები თემებზე: ვ. ი. ლენინის სახე პოეზიაში", „დიდი სამამულო", „ილია ჭავჭავაძე". მსახიობი იყო ჯვარზენში, კაშხალზე, საბერიოს დიდ გვირაბში, ზუგდიდის ქაღალდისა და აბრეშუმის კომბინატებში, ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მსმენელები კმაყოფილი დარჩნენ. მსახიობს გადაწყვეტილი აქვს მომავალში კვლავ ესტუმროს ენგურჰესის მშენებლებს და წაუკითხოს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები ვაჟა-ფშაველაზე, აკაკი წერეთელზე და გალაკტიონ ტაბიძეზე.

ა. მარშანია.

### კონცერტები იალაღებზე

ახმეტა. (საკ. კორ.). ზემო ალვანის სასოფლო კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი ნ. ჩაგოშვილი) მშრომელთა ხშირი სტუმარია.

ამას წინათ ბრიგადის წევრები ეწვივნენ თუშეთს, სადაც იალაღებზე მყოფი მწყემსებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამართეს კონცერტები, ჩაატარეს საუბრები.

### საგასტროლოდ აფხაზეთში

აფხაზეთში ხშირად არიან საგასტროლოდ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლები.

სოხუმში წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი, რსფსრ სახალხო არტისტი ვალენტინა ლევკო, ინგლისელი მომღერალი რობერტ იანგი. ჩეხოსლოვაკიელ მომღერალს მარცელა ლაიფეროვას კონცერტები ჰქონდა აფხაზეთის საესტრადო სცენებზე.

ამ თვეში სოხუმს ესტუმრებიან მოსკოვის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მეგობრობის მელოდიები" „ბელგრადის მელოდიები" (იუგოსლავია) და უნგრელი მევიოლინე ლალი როშანი.

ნ. მიქაშავიძე.

### გონიოდან საექსპორტოდ

ხელვაჩაური. (საკ. კორ). გონიოს ჩაის ფაბრიკა რაიონის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა. აქ ჯერ კიდევ პირველი ივლისისათვის შეასრულეს ხუთწლედის გეგმა და უკვე მეათე ხუთწლედის ანგარიშში ასობით ტონა ხარისხოვანი ჩაი გადაამუშავეს.

ფაბრიკის კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ გონიოელთა ჩაის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება ევროპის მოძმე დემოკრატიულ ქვეყნებში.

### საქართველოს მთა-ბარში

*მილანის საერთაშორისო*

## ნახევარფინალური მატჩები

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო ოსტატმა ენრიკო პაოლიმ (იტალია) ჩაატარა წილისყრა, რომელმაც თეთრი ფიგურები პირველ პარტიებში კარპოვსა და პორტიშს არგუნა.

კარპოვ-პეტროსიანის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა თამაში, როგორც ყოველთვის, მეფის წინა პაიკით დაიწყო. ამის საპასუხოდ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უმთავრესად კარო-კანის დაცვასა და ფრანგულ პარტიას მიმართავს ხოლმე. პეტროსიანმა ამჯერად ერთგვარი სიურპრიზი მოუტანა მეტოქეს — ესპანური პარტია აირჩია, თუმცა კარპოვი ამ დასაწყისის დიდ მცოდნედ ითვლება, ამჯერად მან მაინც ვერ მიიღო უპირატესობა. დებიუტში დიდოსტატებს დიდი დრო არ დაუხარჯავთ, შემდეგში კი ხანგრძლივად ჩაფიქრდნენ. კარპოვი და პეტროსიანი ასეთი არჩევანის წინაშე იდგნენ — ან მკვეთრად გაემწვავებინათ ბრძოლა, ანდა ღია ხაზზე გაეცვალათ ფიგურები, რის შემდეგ საყაიმო შედეგი გარდუვალი იყო. ორივემ მეორე გზა აირჩია.

29-ე სვლაზე პეტროსიანმა ფუ- [illegible] ში მივიწყებული გაგრძელება. იუგოსლაველის გადაწყვეტილება სრულიად მართებული აღმოჩნდა. მოულოდნელობის ელემენტმა თავისი როლი ითამაშა და ლიუბოევიჩმა უკეთესი პოზიციაც კი მიიღო. პორტიშმა დინჯი თამაშით უკუაგდო შავების შეტევა, ლაზიერებიც გაცვალა, რის შემდეგ პარტია გადაიდო. მაგრამ მისი დამთავრება დიდხანს არ გაგრძელებულა. მეტოქეები 47-ე სვლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში აქაც თანაბარია — 0,5:0,5.

გ. გამრეკელი.

### თასი თბილისში გათამაშდება

საბჭოთა კავშირის უძლიერესი წყალში მხტომელი ქალები გაითამაშებენ 5-6 სექტემბერს თბილისში. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" საცურაო აუზში საკავშირო თასს.

სტარტზე გამოვლენ მსოფლიოს ჩემპიონი, პენზელი ი. კალინინა, მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი ტ. ვოლინკინა (ლვოვი), ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები ე. გორინა (სარატოვი) და ე. ვოიცეხოვსკაია (მოსკოვი), საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, თბილისელები ს. ნიკოლოტოვა და ლ. ფირალიშვილი. სულ იასპარეზებს 40 სპორტსმენი.

### ფეხბურთელთა ამბები

ზრეზ — 2:2 დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდული გუნდების მატჩი, რომელიც დრეზდენში გაიმართა.

შედგა ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი. ნანტში საფრანგეთის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 (1:0) მოუგო ირლანდიელებს. ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი დამარცხდა შვეციის ნაკრებთან — 1:2 (1:1). შოტლანდიელებმა კოპენჰაგენში დაამარცხეს დანიელები — 1:0.

72 ათასი მაყურებელი დაესწრო ვენაში მსოფლიოს ჩემპიონის გფრ-ისა და ავსტრიის ნაკრებთა მატჩს. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა. ორივე ბურთი გაიტანა ბეერმა, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა ტრავმირებული ბეკენბაუერი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ინგლისის ნაკრებმა ბაზელში მოუგო შვეიცარიის გუნდს — 2:1 (2:1).

მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელმა — პოლონეთის ნაკრებმა კრაკოვში ფრე — 2:2 ითამაშა დასავლეთ გერმანიის კლუბ „ჰანოვერ-96"-თან.

## მოკლედ

მხატვრული ტანვარჯიში. მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც უძლიერესი იყო სტავროპოლელი ნატალია კრაშენინნიკოვა — 39,5 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ქვეყნის ჩემპიონი, კიეველი ირინე დერიუგინა — 38,95, მესამეზე — ომსკელი გალიმა შუგუროვა — 38,7.

რაგბი. ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირზე გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" პრიზზე სათამაშო დარჩა ორი ტური. შეჯიბრებას ლიდერობენ პოლონეთისა და რუმინეთის გუნდები, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ ექვსი შესაძლებლიდან. თითო ქულით ჩამორჩებიან მათ საბჭოთა პირველი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

წყალბურთი. ვარნაში დამთავრდა მეგობრული არმიების ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ხუთივე მატჩი (უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, კუბის გუნდებთან) და პირველობა მოიპოვა.

### სპორტი

## „კომუნისტის" ფოტოკონკურსზე



ი. დავითაშვილი — „ვარძია".



გ. კიკაძე — „ზღვა და ბავშვი".

## შეუწყნარებელი გულგრილობა

### ჩვენი და ტრანსპორტი

გამთენიისას სოფელ ვეჯინთან ალაზნის არხში სატვირთო ავტომანქანა გადავარდა, დაიხრჩო სამი ქალი, ხოლო ცხრა დაშავდა და საავადმყოფოში მოათავსეს.

ვისი იყო სატვირთო ავტომობილი, რამ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც ასეთი მსხვერპლი მოჰყვა?

სატვირთო ავტომანქანა ეკუთვნის გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას (დირექტორი ი. ინდაშვილი, გარაჟის გამგე ო. სიმონიშვილი, ინჟინერი ტექნიკის უსაფრთხოების დარგში კ. ქათამაძე, დისპეტჩერი რ. გველუკაშვილი) და მართავდა მძღოლი ვახტანგ ჯოხაძე, რომელსაც ამავე მეურნეობის მუშები გადაჰყავდა ნაკვეთში.

ავტოავარიის წინადღეს მძღოლი ვ. ჯოხაძე საბჭოთა მეურნეობის სხვა წევრებთან ერთად საგარეჯოს რაიონში იყო ნამჯის აღებაზე, საიდანაც სოფელ ვეჯინში გვიან ღამით დაბრუნდა, ავტომანქანა გარაჟში არ მიიყვანა, დააყენა თავისი სახლის ეზოში, გამთენიისას კი წავიდა ახალი დავალების შესასრულებლად და ათი კილომეტრის გავლის შემდეგ მოახდინა ავტოკატასტროფა.

ეს სატვირთო ავტომანქანა შვიდი წელია სანერგე მეურნეობას ემსახურება და ათეულათასობით კილომეტრი აქვს გავლილი. მას ადრე მძღოლი ი. მჭედლიშვილი მართავდა.

ტრანსპორტის ყველა მუშაკმა, საერთოდ, ვისაც საქმე აქვს ავტომობილთან, იცის, რომ მანქანის ხანგრძლივი ექსპლოატაციის შემდეგ მას შეკეთება და მწყობრიდან გამოსული ნაწილების შეცვლა ჭირდება. თორემ ისეთ დროს გიმტყუნებს და ფათერაკს გადაგყრის, რომ სინანული და თავში ცემა გვიანღა იქნება. ამ ავტოავარიის მოხდენამდე სამი კვირით ადრე გარაჟში დაბრუნების შემდეგ ი. მჭედლიშვილმა ხელმძღვანელობას მოახსენა ავტომანქანის ტექნიკური უვარგისობის შესახებ და სთხოვა სათადარიგო ნაწილები, რათა ავტომობილი წესრიგში მოეყვანა. ამით განაწყენებულმა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ავტომანქანა ჩამოართვა ბრძანებით მასზე მიმაგრებულ მძღოლს და სამართავად გადასცა ვ. ჯოხაძეს, ხოლო თითქოს სამუშაოს გაცდენისათვის ი. მჭედლიშვილს ბრძანებით საყვედური გამოუცხადა.

ვ. ჯოხაძე ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში 1969 წლიდან მუშაობს მუშად. მან დაამთავრა დოსაფის გურჯაანის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ავტოკურსები და პროფესიონალი მძღოლის მოწმობა მიიღო. წლეულს მარტში მეურნეობის ხელმძღვანელობამ იგი გადაიყვანა შემცვლელ მძღოლად, ხოლო ყოველგვარი ბრძანების გარეშე 8 ივლისიდან დააწყებინეს მუშაობა „გაზ-52" მარკის სატვირთო ავტომანქანაზე. არსებული წესების მიხედვით, მძღოლი, რომელმაც მიიღო მესამე კლასის შოფრის მოწმობა, ვალდებულია სამი წელი იმუშაოს ავტომანქანაზე. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება იგი გააპიროვნონ მგზავრთა გადასაყვან ავტომობილზე. რატომღაც მეურნეობის ხელმძღვანელობამ ეს ელემენტარული მოთხოვნა უგულებელყო და გამოუცდელ, სავალდებულო სტაჟის გაუვლელ მძღოლს ანდო ოცდათერთმეტი ადამიანის სიცოცხლე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ავარიის მოხდენის წინადღეს მძღოლმა ვ. ჯოხაძემ ამ მანქანით ორას კილომეტრზე მეტი გაიარა. გარაჟის გამგე ო. სიმონიშვილიც კი არც დაინტერესებულა, რატომ არ დაბრუნდა გარაჟში ავტომანქანა. რა თქმა უნდა, ლაპარაკი ზედმეტია ავტომანქანის ტექნიკურ მომსახურებაზე.

ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა იქამდე მივიდა, რომ ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანით, რომელსაც მოუწყობელი ძარა აქვს, ვ. ჯოხაძეს დაავალა მუშების გადაყვანა შორ მანძილზე ყველა არსებული ნორმის დარღვევით. ავტომანქანის ძარაზე ფეხზე იდგა ოცდათერთმეტი (?!) კაცი. იმის გამო, რომ ავტომანქანა მოწყობილი არ იყო ადამიანთა გადასაყვანად, მეურნეობის მეოთხე ბრიგადის მუშებმა, რომელთა უმრავლესობა ქალებია, უარი თქვეს ამ ავტომანქანით მგზავრობაზე, მაგრამ ბრიგადირი მ. შანყულაშვილისა და მძღოლ ვ. ჯოხაძის დაჟინებით იძულებული გახდნენ ასულიყვნენ ძარაზე და გამგზავრებულიყვნენ სამუშაოდ. ათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ავტომანქანა მოიშალა, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს, და გადავარდა არხში.

ავტომანქანის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მართვის მექანიზმი, სამუხრუჭო სისტემა, განათების ხელსაწყოები ტექნიკურად გაუმართავი იყო. რა უნდა ექნა, რა უნდა ეღონა ახალბედა მძღოლს ასეთი მანქანისათვის, რომ ავარია თავიდან აეცილებინა?

ახლა შევიხედოთ ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ავტოპარკში. მას ჰყავს გამგე ო. სიმონიშვილი, ტექნიკის უსაფრთხოების დარგის ინჟინერი კ. ქათამაძე, დისპეტჩერი გველუკაშვილი და, რა თქმა უნდა, მთელი დამხმარე პერსონალი, ერთი სიტყვით, გამოცდილ ხელმძღვანელ მუშაკთა მთელი არმია. მაგრამ ავტომეურნეობაში ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება მოუგვარებელია. კერძოდ, არ წარმოებს ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება სამუშაოზე გასვლის წინ, არც არ არის დაწესებული საჭირო კონტროლი სამუშაოდან გარაჟში დაბრუნებაზე, არ გააჩნიათ ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების გრაფიკები და საჭირო ხელსაწყო-დანადგარები, სათადარიგო ნაწილები, მოუგვარებელია მძღოლებისათვის საგზურების მიცემა და სხვა მრავალი, ერთი შეხედვით თითქოს და უბრალო წვრილმანი, რომელთა უგულებელყოფამ ეს უბედურება გამოიწვია.

ყოველი წვრილმანი დარღვევაც კი სავალალო გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანს. ეს განსაკუთრებით სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასა და მოვლა-პატრონობას ეხება. ამიტომ არის, რომ ყოველ ავტოშემთხვევას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. უყურადღებობამ და საქმისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ეს ავტოავარია, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

გ. ბახტურიძე.

### ადამიანი და ბუნება

## ქალაქს კი ეძინა...

ამას წინათ ღამით, მაღლა მთაში, ჩვეულებრივ დურუჯში წვიმების გამო წყალი ადიდდა. ზოგან რაღაც მეოთხედ საათში 30 მილიმეტრზე მეტი ნალექი მოვიდა. ნიაღვარი, რომელსაც თან მოჰქონდა ჩამორეცხილი ნიადაგი, ქვა, ამოგლეჯილი ხეები, მდინარის კალაპოტში ღვარცოფად იქცა და ყვარლისაკენ დაიძრა.

თითქოს უბედურება გარდუვალი იყო, მაგრამ ღვარცოფის მოვარდნის დროს ქალაქის მცხოვრებთ არც კი გაღვიძებიათ, მარტო მწყემსები და მეფუტკრეები, რომლებმაც ის ღამე ყვარლის მიდამოებში გაატარეს, მოგვიანებით ხალხს უამბობდნენ, წვიმის ხმაურში მდინარის მხრიდან ძლიერი გრუხუნი მოისმოდაო. დილას მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მდინარის კალაპოტი საოცრად შეცვლილიყო, გაფართოვებულიყო, გასწორებული, ლორღითა და ქვით დაფარულიყო.

მძლავრი ღვარცოფის მთელი დარტყმა, რომელმაც მდინარე დურუჯის კალაპოტში ჩაიტანა 700 ათას კუბურ მეტრზე მეტი ჩამორეცხილი ნიადაგი და ქვა, მიიღო რკინაბეტონის ელემენტებისაგან აშენებულმა ჯებირმა, რომელიც ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიმუშავა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ხერხეულიძემ და ექსპერიმენტის სახით ააშენეს მშენებლებმა.

ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული ღვარცოფსაწინააღმდეგო კონსტრუქციებით დაინტერესდნენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ეს კონსტრუქციები აგებულია იუგოსლავიის მთის მდინარეებზე, შენდება სომხეთას ქალაქ ალავერდის მიდამოებში.

(საქინფორმი).

## პირველი პროგრამით

### 8 სექტემბერი

16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალტიის ნაპირებზე", 17.25 — „მომხმარებელი" (რუსულ ენაზე), 18.05 — განცხადებები, 18.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბელენი", 18.20 — „იყო და არა იყო რა", 18.30 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „ხუთწლედი ჩემს სოფელში", 19.30 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — სატელევიზიო პროგრამების საერთაშორისო ფესტივალი „ცისარტყელა", ბულგარეთი (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 20.40 — მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ჰელსინკის შემდეგ 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „წმინდა ლუკას დაბრუნება" (ქართულ ენაზე). დასასრულ ახალი ამბები.

### 9 სექტემბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 10.30 — ა. ოსტროვსკი. „ტყე" საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის ფილმი-სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ღამეული", 18.30 — მოსწავლეთათვის „სვანეთის დღიურები", 18.55 — „სპორტული მიმოხილვა", 19.15 — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სატელევიზიო პროგრამა მიძღვნილი ფაშიზმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ხუთწლედს გამარჯვებული ფინიში", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი „მღერის ელვირა უზუნიანი", 22.55 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

### 10 სექტემბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.05 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 10.30 — „ნორჩთა შემოქმედება" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 11.00 — მხატვრული ფილმი „ეს ნამდვილი მამაკაცია" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 12.30 — „ობიექტივი" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქარხანა ოკეანეში", 17.15 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „უკვდავი კაშჩეი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „პოეზია", 18.35 — მოსწავლეთათვის „ცისკარი" — „ფინიშიდან სტარტამდე", 19.00 — „მინაში ამღერებული ფერები" — ფერადი გამოსახულებით, 19.30 — პარტიული ცხოვრება, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ოლიმპიური და ისლანდიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კინოობიექტივი. დასასრულ ახალი ამბები.

### 11 სექტემბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინჟინრები და ტყე", 11.15 — „ხელოვნების ოსტატები" — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ტარასოვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 12.55 — მხატვრული ფილმი „ჩირაღდანი", 17.05 — პლენუმის შესახვედრად", 17.25 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სათვალეებიანი", 18.15 — „სიტყვა ეძლევა მეცნიერებს" — გამოდის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. პ. ვინოგრადოვი (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 18.00 — „გლობუსი" — ფერადი გამოსახულებით, 19.20 — კინონარკვევი „სახიფათო სიმაღლე", 19.30 — კონცერტი ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით, 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში (გადმოცემა მინსკიდან ფერადი გამოსახულებით), 20.25 — „ჩვენი კომენტარი", 20.35 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი — ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური საღამო", დასასრულ ახალი ამბები.

### 12 სექტემბერი

10.30 — ტელესტუდიის საკონცერტო დარბაზი „ორლიონოკი" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 11.00 — მხატვრული ფილმი „ვმსახურობ საზღვარზე", 17.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კუზიანი კვიცი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 19.20 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.35 — „კომპოზიტორი მამია ბერეკაშვილი", 20.10 — „მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი", 20.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ძველი თბილისის მოტივები", — 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ყრილობიდან ყრილობამდე" (სტუდიაში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრ. აბაშიძე (განმეორებით), 21.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძლიერი მხნელი", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — „თანამედროვე ამერიკული მუსიკა", 23.10 — ახალი ამბები.

### 13 სექტემბერი

10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00 „თქვენთვის, მშობლებო! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 12.00 — „ადამიანი და ბუნება" (გადმოცემა ლენინგრადიდან ფერადი გამოსახულებით), 12.30 — „წიგნი-75" რეპორტაჟი საერთაშორისო გამოფენიდან (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 13.30 — უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა, 14.00 — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 14.30 — „კინოაფიშა", 15.00 — „ჰელსინკის შემდეგ, 15.30 — მღერის მაყვალა ქასრაშვილი", 16.00 — „თანამეგობრობა" სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი ა. კავერზნევი (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 16.30 — უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — „ტელემაყურებელი გვეკითხება", 18.10 — უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — ფილმები ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა, 23.20 — ახალი ამბები, 23.35 — მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში (გადმოცემა მინსკიდან ფერადი გამოსახულებით).

### 14 სექტემბერი

10.05 — მღერის მედეა ამირანაშვილი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის ფერადი გამოსახულებით), 10.45 — კინოპროგრამა, 12.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „მხედრები სადგურ „როსაში" — პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 13.20 — საკავშირო ფესტივალის შესახვედრად — ქუთაისის მხატვრული თვითმოქმედება (განმეორებით), 14.00 — „კინოს მოყვარულთათვის", 15.00 — „დღეს ტანკისტის დღეა" — გამოდის საბჭოთა კავშირის ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი მარშალი ა. ხ. ბაბაჯანიანი (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 15.15 — ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 16.50 — „მწვრთნელი", 17.15 — „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან) ფერადი გამოსახულებით), 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონება", 19.15 — „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან ფერადი გამოსახულებით), 20.15 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს" — იკორთა, 20.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „არლანი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში (გადმოცემა მინსკიდან ფერადი გამოსახულებით).

## ტელევიზია

### 5 სექტემბერი

#### პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ტყავის ბურთის" პრიზზე" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ავარია" (პირველი სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — მხატვრული ფილმი „თქვენი სახლის მისამართი", 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „კარაჩინგილი" და „მზის ორივე ბოლო", 18.00 — განცხადებები, 18.05 — „ახალი სასწავლო წელი დაიწყო", 18.55 — კინოჟურნალი „სოფლის მეურნეობა" № 4 (ქართულ ენაზე), 19.10 — „ხარისხის ნიშანი, ატესტაცია, სტიმული", 19.30 — „კინოს სამყაროში", 20.30 — „მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის მელოდიები", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ცეკვავს მაია პლისეცკაია". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „საღამოს შეხვედრები" ფერადი გამოსახულებით.

#### მეორე პროგრამით

19.05 — მხატვრული ფილმი „ჩირაღდანი".

## რადიო

### 6 სექტემბერი

#### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. შავერზაშვილი. სავიოლინო კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მღერის ე. პიეხა, 12.00 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე", 12.15 — ფ. პულენკი. ოპერა „ადამიანის ხმა", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ა. გრინი, „ალისფერი იალქნები". რადიოდადგმა, 14.45 — უკრავს ს. რიხტერი, 15.30 — „მხიარულ ტალღაზე", 16.15 — „მოგონებები, სტატიები, წერილები" კონცერტი-საუბარი „ნ. ქუმსიაშვილი", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. საყმაწვილო ოპერა „ქაჯანა", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ესტრადის ოსტატთა კონცერტი, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები", — ლ. ქიაჩელის მოთხრობები. კითხულობს ავტორი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 21.00 „ძილისპირული", 21.15 — მსუბუქი მუსიკა, 21.30 — ახალგაზრდობისათვის „ვაჟკაცური პროფესიის ადამიანები", 22.00 — საღამო მშვიდობისა!", 23.30 — ქართული კამერული მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96 ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 99 93-03 99 03 09 პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61 პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.